“დამტკიცებულია”

თჰუ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 27 ოქტომბრის #18

გადაწყვეტილებით

ბიზნეს ლაბის დებულება

1. სტატუსი

1.1. ბიზნეს ლაბი (ბიზნესის ლაბორატორია) წარმოადგენს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულს და არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს.

1.2. ბიზნეს ლაბი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციური აქტების, ფაკულტეტის დებულებისა და ამ დებულების შესაბამისად.

1.3. ბიზნეს ლაბი წარმოადგენს საუნივერსიტეტო ინტერდისციპლინარულ ცენტრს, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტურ მეწარმეობას, ინოვაციებს, კვლევით საქმიანობას და გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

2. მიზანი

2.1. ბიზნეს ლაბის მიზანია ხელი შეუწყოს ბიზნეს ინოვაციების, მათ შორის სწავლებაში ინოვაციების დანერგვის, მეწარმეობის განათლების გაძლიერების, გამოყენებითი კვლევების გაფართოებისა და ინდუსტრიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის განვითარების პროცესებს.

2.2. ბიზნეს ლაბი ორინტირებულია უნივერსისტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით ხელი შეუწყოს ბიზნესს იდეების გენერირებას, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას, სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციას.

3. ფუნქციები

3.1. ბიზნეს ლაბი ფუნქციებია:

ა) მეწარმეობის კულტურის განვითარების მხარდაჭერა, ისეთი აქტივობებით, როგორიცაა ტრენინგები, სემინარები, საკონსულტაციო საქმიანობა და სხვ.;

ბიზნეს სიახლეების გავრცელებით ფაკულტეტის მაშტაბით და საჭიროების შემთხვევაში საუნივერსიტეტო სივრცეში;
ბ) სტარტაპების დაპროექტება, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობით განხორციელებადი სტარტაპების მხარდაჭერა; სტუდენტების, კურსდამთავრებულების ბიზნეს იდეების მხარდაჭერაა და კონსულტირება;
გ) ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული სიახლეების ბიზნესში დანერგვის პროცესების დაგეგმვა, საჭირო ღონისძიებების ჩატარება. გამოყენებითი ბიზნეს კვლევების განხორციელებაში ჩართულობა;
დ) ბაზრის კვლევების განხორციელება, სტრატეგიული დაგეგმვა და ბიზნეს-გეგმების ფორმირება; მდგრადი განვითარების პრინციპებისა და მიზნების გათვალისწინებას ბიზნეს იდეებში; ეკო-მეგობრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნეს-იდეების პრომოცია და მხარდაჭერა;
ე) ფინანსური ანალიზი და ბიზნესის შეფასება (Do diligence), ბიზნეს პროცესების მოდელირება, მართვა;
ვ) მარკეტინგული დაგეგმვა;
ზ) თანამშრომლობა კერძო, საჯარო და საერთაშორისო ინსტიტუტებთან.

4. სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

4.1. ბიზნეს ლაბს ხელმძღვანელობს ლაბორატორისს ხელმძღვანელი, რომელსაც ნიშნავს ფაკულტეტის საბჭოს წაერდგინებით თჰუ რექტორი;

4.2. ბიზნეს ლაბის ხელ-ლი პასუხისმგებელია დაგეგმვაზე, მართვაზე, ანგარიშგებაზე, პარტნიორობაზე და განვითარების პროცესებზე; კერძოდ, მის სამსახურებრივ ფუნქციებში შედის:

ა) წლიური სამუშაო გეგმების შემუშავება;

ბ) კვლევით, საგანმანათლებლო და სამეწარმეო აქტივობათა ორგანიზება;

გ) თანამშრომლობა უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან და გარე პარტნიორებთან;

დ) პერიოდული ანგარიშების მომზადება.

4.3. ბიზნეს ლაბში მიმდინარე სამაუშაოებს წარმართავენ უფროსი ლაბორანტი და ლაბორანტი.

5. ქონება და ფინანსები

5.1. ბიზნეს ლაბი უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო სამუშაო სივრცით, ტექნიკითა და ციფრული რესურსებით;

5.2. დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, გარე გრანტებიდან, სპონსორობიდან და პარტნიორთა მხარდაჭერიდან.